საერთაშორისო ამნისტია

საქართველო: ათასობით მდუმარე მსხვერპლი

ოჯახური ძალადობა ქალების მიმართ

2006 წ. სექტემბერი შინაარსი საერთაშორისო ამნისტიის
ინდექსი: EUR 56/009/2006

საერთაშორისო ამნისტია შეშფოთებულია საქართველოში ოჯახურ ძალადობაში დამნაშავე პირთა საყოველთაო დაუსჯელობის გამო; არასაკმარისია ღონისძიებები და ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა მომსახურება, - დროებითი თავშესაფრები, ადექვატური და უსაფრთხო განთავსება; არ არსებობს ოჯახური ძალადობის შემთხვევებისას უწყებათა შორის ურთიერთმიმართვის სისტემა სხვადასხვა ორგანოთა შორის – როგორიცაა ჯანდაცვის მუშაკები, კრიზის-ცენტრები, იურიდიული დახმარების ცენტრები და სამართალდამცავი ორგანოები; არ არსებობს სავალდებულო სახელმწიფო საწვრთნელი პროგრამები პოლიციის, თანამშრომლების, პროკურორების, მოსამართლეებისა და მედპერსონალისათვის; ასევე დღემდე ვერ ხერხდება ამ სფეროში მოქმედი ძირითადი მხარეების - სამართალდამცავი ორგანოების და სასამართლოების - მიერ ოჯახური ძალადობის შემთხვევების სისტემატური დაფიქსირება და სანდო და ყოვლისმომცველი სტატისტიკური მონაცემების ბაზის შექმნა, რომელიც ასახავდა და გამოკვეთდა მსხვერპლისა და დამნაშავეს სქესს, მათ შორის არსებულ ოჯახურ კავშირს.

საერთაშორისო ამნისტიას მიაჩნია, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ 2006 წლის მაისში მიღებული საქართველოს კანონი "ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" (კანონი ოჯახური ძალადობის შესახებ) მნიშვნელოვანი ნაბიჯია სახელმწიფოს მიერ ოჯახური ძალადობის აღმოფხვრისა და მის მსხვერპლთა დაცვის ვალდებულების შესრულებისაკენ. საქართველოს კანონმდებლობაში პირველად ეს კანონი განმარტავს ოჯახურ ძალადობას როგორც სამართლებრივ ცნებას. გარდა ამისა, იგი უქმნის სამართლებრივ საფუძველს დამცავი და შემაკავებელი ორდერების გაცემას. ამავე დროს, კანონის სისუსტე იმაში მდგომარეობს, რომ თუმცა ის მსხვერპლთათვის დროებითი თავშესაფრების დაარსებას ითვალისწინებს, ამ მუხლის ძალაში შესვლა 2008 წლისთვის არის გადავადებული.

2006 წლის თებერვალში პარლამენტის მიერ კანონის პირველი მოსმენის დროს გამართულ – და ტელევიზიით ტრანსლირებულ - დებატებში, ბევრმა პარლამენტარმა აბუჩად აიგდო ოჯახური ძალადობის საკითხი და კანონპროექტიც ხუმრობის საგნად აქცია. არლამენტის ამ წევრთა საქციელიდან ცხადი გახდა, რომ ქალების მიმართ დისკრიმინაცია კვლავ ღრმადაა გამჯდარი საზოგადოებაში. საერთაშორისო ამნისტია ასევე შეშფოთებულია იმ ფაქტით, რომ საქართველოში ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ისეთი სახელმწიფო პროგრამების, როგორიცაა "ოჯახური ძალადობის აღკვეთისა და ოჯახური ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით გასატარებელ ღონისძიებათა 2006-2008 წლების სამოქმედო გეგმა" და ქალების მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციის აღკვეთის კომიტეტის (CEDAW) საქართველოს მიერ გაეროს ქალების მიმართ

ყველა სახის დისკრიმინაციის აღკვეთის კონვენციით აღებული ვალდებულებების შესრულების შესახებ პირველი პერიოდული ანგარიშის განხილვის შემდეგ წარმოდგენილი საბოლოო რეკომენდაციები, - შესრულება სერიოზული ხარვეზებით წარიმართა.

დღემდე საქართველოში ოჯახური ძალადობის პრევენციასა და მსხვერპლთა დაცვასთან დაკავშირირებულ საქმიანობას ძირითად არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ, თანაც ისინი სახელმწიფოსაგან პრაქტიკულად არანაირ ფინანსურ ან სხვა სახის მატერიალურ დახმარებას არ იღებენ. მათი საქმიანობა მოიცავს იურიდიულ დახმარებას, ასევე ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ და სხვა სახის დახმარებას; შესაბამისი კანონმდებლობის შესახებ საჯარო მსჯელობის წამოწყებასა და მათში მონაწილეობას; სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისა და სამედიცინო პერსონალისათვის ოჯახური ძალადობის შესახებ საწვრთნელი კურსების ჩატარებასა და ამ პრობლემის გარშემო საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას.

საერთაშორისო ამნისტიას მიაჩნია, რომ ისეთი სისტემის დასანერგავად, რომელიც უზრუნველყოფს ქალების დაცვას და მიმართული იქნება ოჯახური ძალადობის აღმოფხვრისაკენ, აუცილებელია ძლიერი პოლიტიკური ნება და ხელისუფლების მიერ შეთანხმებული მოქმედებები. საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება უნდა გახდეს მთავრობის ერთერთი პრიორიტეტი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების განხორციელებასა და მათი საქართველოს კონტექსტისათვის მორგების სტრატეგიების შემუშავებისას, აუცილებელია საქართველოს მთავრობის თანამშრომლობა ოჯახური ძალადობის საკითხებზე მომუშავე ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

ანგარიშის ბოლოს მოთავსებულია საერთაშორისო ამნისტიის რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისათვის. სხვა საკითხებს შორის, ორგანიზაცია მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, რომ:

- შექმნას ოჯახური ძალადობის საკითხებში ქმედითი უწყებათაშორისი ურთიერთმიმართვების სისტემა, რომელიც შექმნის მჭიდრო კავშირს ისეთ დაწესებულებებს შორის, როგორებიცაა სამედიცინო დაწესებულებები, იურიდიული დახმარების ცენტრები, კრიზის-ცენტრები, თავშესაფრები და პოლიცია.

- დროულად გამოყოს სახელმწიფო დაფინანსება ან აქტიურად მოიძებნოს დონორები, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი თავშესაფრების დაარსება ქვეყნის მასშტაბით, რაშიც საჭირო თანამშრომლობა ისეთ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომელთაც გააჩნიათ ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ქალებისთვის დახმარების აღმოჩენის სათანადო გამოცდილება.

- აღსრულდეს კანონმდებლობა, რომელიც იცავს ქალებს და უზრუნველყოფს ოჯახში ძალადობის დანაშაულის ისეთივე სერიოზულობით განხილვას, როგორც სხვა სახის ძალადობა, ხოლო გაუპატიურება და ქალების მიმართ სხვა სახის ძალადობა აღიარებულ იქნას სისხლის სამართლის დანაშაულად ყოველგვარ კონტექსტში.

- ყველა საქმეში, სადაც დადასტურებულია ოჯახური ძალადობა, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ვალდებულება პირველ რიგში დაეკისროს სახელმწიფოს და არა ოჯახური ძალადობის მსხვერპლს.

- უზრუნველყოფილ იქნას ქალების მიერ ქმრის, თანამაცხოვრებლის ან სხვა ინტიმური პარტნიორის მიმართ საჩივრის შემთხვევების დროული,

მიუკერძოებელი და საფუძვლიანი გამოძიება და საკმარისი დასაშვები მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში ეჭვმიტანილების სამართლიანი სასამართლოს წინაშე წარდგომა. ასეთ შემთვევებში, მომჩივანი, მოწმეები და სხვა რისკის ქვეშ მყოფი პირები ყოველთვის დაცულნი უნდა იყონ დაშინებისა და შურისძიებისაგან.

- უზრუნველყოფილ იქნას ოჯახური ძალადობის შემთხვევაში ყველა სისხლის სამართლის საქმეში მტკიცებულების წარმოდგენის შესაძლებლობა შესაბამისი ექსპერტების მიერ – რაც მოიცავს სოციალურ მუშაკებსა და ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების ექსპერტებს, რომლებიც ოჯახური ძალადობის მსხვერპლებთან მუშაობენ. ასეთ მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს, სხვათა შორის – ადრე მომხდარი ოჯახური ძალადობის შემთხვევის მტკიცებულება და ძალადობის ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ შედეგთან დაკავშირებული მტკიცებულება.

- უზრუნველყოფილ იქნას პოლიციის თანამშრომლების, პროკურორებისა და მოსამართლეთა სავალდებულო ტრენინგი, მიმართული საზოგადოებაში ქალების ძალადობისაგან დასაცავად. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს "ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" კანონით გათვალისწინებულ დამცველი და შემაკავებელი ორდერების გაცემის, აღსრულების ზედამხედველობის, და მოვლენათა შემდგომი თვალის გადევნების ამსახველი სახელმძღვანელო წესების ჩამოყალიბებას.

- უზრუნველყოს ექიმების, ექთნების, მეანეების, სამედიცინო ინსტიტუტების სტუდენტებისა და სასამართლო სამედიცინო ექსპერტების ტრენინგი ოჯახური ძალადობის იდენტიფიკაციასა და მასზე რეაგირებაში.

- ამაღლდეს საზოგადოებრივი ცნობიერების დონე ქვეყნის მასშტაბით მედიის გამოყენებით და სკოლებში სწავლის პროცესში, განიმარტოს, რომ გენდერული ძალადობა ადამიანის უფლებათა დარღვევაა იმის მიუხედავად, ჩადენილია ის სახელმწიფო მოხელის თუ კერძო პირის მიერ.

შენიშვნა: წინამდებარე ანგარიშის ტექსტი დასრულდა 2006 წლის 4 სექტემბერს.

საძიებო სიტყვები:

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს შინაარსს 43-გვერდიანი დოკუმენტისა (9,444 სიტყვა) *საქართველო: ათასობით მდუმარე მსხვერპლი. ოჯახური ძალადობა ქალების მიმართ* (საერთაშორისო ამნისტიის ინდექსი: EUR 56/009/2006), რომელიც საერთაშორისო ამნისტიამ 2006 წლის სექტემბერში გამოსცა. მოცემულ საკითხზე დამატებითი დეტალების გაცნობის მსურველები ვთავაზობთ გაეცნონ სრულ დოკუმენტს. ამ და სხვა მსგავს საკითხებთან დაკავშირებული მასალა იხილეთ მისამართზე http://www.amnesty.org, აგრეთვე შესაძლებელია საერთაშორისო ამნისტიის ახალი ამბების მიღება ელ-ფოსტით: http://www.amnesty.org/email/email_updates.html

საერთაშორისო სამდივნო, ისტონის ქ. 1, ლონდონი, WC1X 0DW, გაერთიანებული სამეფო